ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

22 დეკემბერი 2016 წელი

დადგენილება # 27

56-00

დ.ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N35 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილების ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე" და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N35 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 09/09/2014 სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.128.016180)

1.დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს ,,ჟ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ჟ) ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრისN 437 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად კომპეტენციის ფარგლებში ახდენს ბავშვზე ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე ამოწმებს ბავშვებზე ძალადობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ შემთხვევებს, ახდენს შეფასების შედეგების ზუსტ დოკუმენტირებას და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას, ხოლო საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, სავალდებულო წესით აგზავნის შეტყობინებას სააგენტოსა და პოლიციაში, ავსებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს, რომელსაც უგზავნის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით, ფაქსით ან, არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში, ვალდებულია ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს პოლიციას, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სააგენტოს შეატყობინოს ,,ცხელი ხაზის" მეშვეობით ან/და წერილობით.".

2.დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1.სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტების, წამყვანი და უფროსი სპეციალისტებისაგან."

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს 2016 წლის 29 დეკემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა გარბაქაძე